

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

მრავალშვილიანი და დედ-მამით ობოლ ბავშვთა (18 წლამდე ასაკის ბავშვები)
ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2017წ.
“31 დეკემბერი“ 2017წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 02 04

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

26000 (ოცდაექვსიათასი) ლარი.

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი – 26000 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარება ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. დემოგრაფიული პრობლემის ფონზე, სტატისტიკური მონაცემებით აღნიშნული კატეგორიის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებია. ასევე სოციალურად დაუცველ კატეგორიას მიეკუთვნება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დედ-მამით ობოლ ბავშვთა ოჯახები. აღნიშნული ბენეფიციარებისათვის მორალური და მატერიალური მხარდაჭერის მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა.

8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	<p>ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ხუთი და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა</p> <p>ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დედ-მამით ობოლ ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა</p>	<p>მოსარგებლე პირთა რაოდენობა.</p>
2		<p>მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება</p>

9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა								X	X	X	X	X
2	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა								X	X	X	X	X

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია:

პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მრავალშვილიანი და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ოჯახები. რაოდენობა განისაზღვრება წინა წლის მონაცემების გათვალისწინებით. დახმარება გაიცემა 23 მრავალშვილიან და 1 დედ-მამით ობოლ ბავშვის ოჯახზე. პროგრამა ითვალისწინებს 2 მრავალშვილიანი ოჯახით გაზრდას.

11. პროგრამის მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

მოსარგებლეთა შერჩევა განხორციელდება აღრიცხვაზე მყოფ მრავალშვილიანი და უდემამო ბავშვების ოჯახების სიების შესაბამისად. პროგრამით მოსარგებლე პირების ასაკი განსაზღვრულია 18-წელი. დახმარება მოხდება აღრიცხვაზე მყოფ იმ ბენეფიციარებისაც, რომელთაც 18 წელი უსრულდებათ საანგარიშო წელს.

12. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება	2017	2018 წელი	2019წელი	სულ
	ძირითადი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	26000			26000
	სულ	26000			26000

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთჯერადი დახმარების მოცულობა (ლარი)	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	ხუთი და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა	ოჯახი	25	1000	25000
2	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლ ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა	ოჯახი	1	1000	1000
სულ ჯამი					26000

დამატებითი ინფორმაცია:

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ა.1) მრავალშვილიანი ოჯახების დაფინანსება განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
2. მშობლების პირადობის მოწმობების ასლები დედანთან ერთად;
3. შვილების დაბადების მოწმობების ასლები დედანთან ერთად;
4. საბანკო რეკვიზიტები.
5. საჭიროების შემთხვევაში – ქორწინების მოწმობა და სხვა დოკუმენტაცია.

ა.2) დედ-მამით ობოლ ბავშვთა ოჯახების დაფინანსება განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
2. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. მშობლების გარდაცვალების მოწმობების ასლები დედანთან ერთად;
4. მეურვეობის დამადასტურებელი ცნობა;
5. მეურვის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
6. მეურვის საბანკო რეკვიზიტები.

ფულადი დახმარება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით.